

სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, განათლების პოლიტიკა  
საქართველოში

სალომე გოდერძიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო  
სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მიქელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე გოდერძიშვილი

02.07.2022 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება დღეისათვის არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ამავდროულად ქართული საზოგადოებისათვის პრობლემატურ საკითხს - ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების ანალიზს, აღნიშნული უფლებების შესახებ განათლების მიღების აუცილებლობასა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებას, ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, კერძოდ, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების სფეროში ქვეყანაში არსებულ ხარვეზებს.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ იქნა ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს წინ გადავდგათ ნაბიჯები საქართველოში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების პროგრამის სრულყოფილად დანერგვისათვის და მოგვცემს შესაძლებლობას, რომ საზოგადოების დავანახოთ მისი აუცილებლობა და საჭიროება ახალგაზრდების ცხოვრებისათვის. აღნიშნულმა კვლევამ მოგვცა საშუალება, რომ დაგვენახა საზოგადოების ცნობიერების დონე სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების ჭრილში, ასევე, გვიჩვენა ამ მხრივ სახელმწიფოში არსებული სისტემური პრობლემები და ხელის შემშლელი გარემოებები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბოლო დროს გადადგმულ იქნა პროგრესული ნაბიჯები განათლების სისტემაში სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ სწავლების დანერგვისათვის, მაინც პრობლემად რჩება საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისი სრულფასოვნად ინტეგრირება.

გარდა ამისა, კვლევა მოიცავს როგორც საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ნორმების შეფასებას სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების მიმართულებით და ასევე, საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებების მიმოხილვასაც.

ნაშრომი ძირითადად ეფუძვნება ნორმატიულ ბაზას, ასევე ადამიანის უფლებების, კერძოდ, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, მიმართულებით სახვადასხვა

საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ადამიანის უფლებები, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება, გენდერული თანასწორობა.

### **Abstract**

The present work deals with one of the most important and at the same time problematic issues for the Georgian society – the analysis of human sexual and reproductive rights, the necessity of receiving education about the mentioned rights and the assessment of current situation in Georgia, in this regard, the existing challenges and also the gaps in the direction of human rights protection, in particular, in the field of sexual and reproductive rights.

As a result of the research, the main recommendations were formed, which will allow us to take steps forward to fully implement the comprehensive sexual education program in Georgia, and will give us the opportunity to show the society its necessity and need for the lives of young people. The mentioned research allowed us to see the level of awareness of the society in terms of sexual and reproductive rights, and also showed us the systemic problems and impeding circumstances in the state in this regard. Although the state has recently taken progressive steps to introduce teaching about sexual and reproductive rights in the education system, it still remains a problem to fully integrate it into educational institutions.

In addition, the research includes an assessment of the legal norms in force in Georgia in the direction of sexual and reproductive rights, as well as a review of international and regional agreements.

The work is mainly based on the normative base, as well as on researches and statistical data concluded by various international and local organizations in the direction of human rights, in particular, sexual and reproductive rights.

**Keywords:** Human rights, sexual and reproductive rights, reproductive health, comprehensive sexuality education, gender equality.